ქ.თბილისი 11.11 2015 წელი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

მრავალპროფილიანიტურისტული კომპანია „აღმოაჩინე საქართველო“ და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

მრავალპროფილიანიტურისტული კომპანია **„აღმოაჩინე საქართველო“** (შემდგომში - კომპანია) წარმოდგენილი მისი დირექტორის, **ნინო კეკელიძის** სახით და **,,თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი”** წარმოდგენილი რექტორის, პროფესორი **ვალენტინა საყვარელიძის** სახით, ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა პროფესიული დაოსტატებისა და განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ტურისტული კომპანია **„აღმოაჩინე საქართველოს“** ურთიერთობის გზით პრაქტიკული გამოცდილების მიღებას.

2. მემორანდუმის მიზანი

2.1. წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ტურიზმის დარგის კვალიფიციური განათლების ხელშეწყობა.

2.2. ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მიმართულია სამეცნიერო კვლევების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისაკენ.

3. მხარეთა უფლება მოვალეობები

3.1. მრავალპროფილიანიტურისტული კომპანია „აღმოაჩინე საქართველო“კისრულობს ვალდებულებებს:

3.1.1. კომპანია **„აღმოაჩინე საქართველოს“** სპეციალისტები მიიღებენ მონაწილეობას უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ტურიზმის მიმართულების სტუდენტების პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილების განხორციელებაში.

3.1.2. მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის კვლევითი პროექტების ფარგლებში მონაწილეობა.

3.1.3. უნივერსიტეტთან ერთად დაგეგმოს სხვა აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს ამ მემორანდუმით განსაზღვრული მიზნის განხორციელებას.

3.1.4. ტურისტული კომპანია „აღმოაჩინე საქართველოს“ მიანიჭებს უნივერსიტეტის ტურიზმის სპეციალობის საუკეთესო კურსდამთავრებულებს პრაქტიკის სრულად და საფუძვლიანად გავლის შემთხვევაში პრიორიტეტს ვაკანსიების შევსებისა და ახალი საშტატო ერთეულების დაკომპლექტებისას.

3.2. უნივერსიტეტი კისრულობს ვალდებულებას:

3.2.2. კომპანია **„აღმოაჩინე საქართველოს“**-თან ერთად დაგეგმოს და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ღონისძიებებში.

3.2.3. კომპანია **„აღმოაჩინე საქართველოს“** საჭიროების შემთხვევაში შეეძლოს **,,თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის”** ბიბლიოთეკით სარგებლობა.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას;

4.2. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

ტურისტული კომპანია„აღმოაჩინე საქართველო“
მის.: წინანდლის ქ. 9, თბილისი, საქართველო
ტელ.: 995 322 50 50 44
ელ.ფოსტა: info@discovergeorgia.ge
ვებ.გვერდი: http://www.discovergeorgia.ge/
საიდენტიფიკაციო კოდი:404439648

დირექტორი: /ნინო კეკელიძე/

,,თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი”
მის: ქ.ჩოლოყაშვილის ქ. 53 (ზერი გაბრიელ სალოსის გამზ.31)
თბილისი, საქართველო
ტელ.: (995 32) 2 54 59 08, (995 32) 2 54 59 09, (995 32) 2 55 24 24
ელ-ფოსტა: thu-posta@thu.edu.ge; ფაქსი: (995 32) 2 54 59 09;
ვებ-გვერდი: http://www.thu.edu.ge/

რექტორი: /ვალენტინა საყვარელიძე/